კვირა, 14 ივნისი. ფასი 10 კაპ.

მათრახი

და სალამური

№ 1 ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვექილების „მებადურები“ ანუ კლიენტებზე ნადირობა.

(ვუძღვნით თფილისელ აგენტოსან ვექილებს).

Академия наук СССР Библиотека-Музей имени Акад. И. Грушевского

ობობაძის აგენტურა

(აჩრდილი პოემისა)

ვექილების ამბავს გეტყვი
და გთხოვთ: ყური მომაპყარით
(ნურც დამძრახავთ იმისათვის
თუ რომ დღემდე ვერ გითხარით!)

ჯოჯოხეთის მადლსა ვფიცავ
ადრე მსურდა ამის თხრობა
და მათრახის კუდით, მათთვის
ზურგზე ტყავის გადაძრობა,

მაგრამ ბედმა, მუხანათმა,
ურცხვად ხელი შემიშალა
და მათრახმა „მაკლეროსნებს“
ვერ უჩვენა თვისი ძალა.

დღეს ვარსკვლავი ბედნიერი
კვლავ გამოჩნდა, გამობრწყინდა,
და ეს წამი სავარჯიშო
რომ დავკარგო აღარ მინდა.

I.

ვის არ მოდრეკს „ოქროს კერპი“,
ვის არ მოხრის წელში რკალად?
ვის სინდისს და სიამაყეს
არ გაიხდის მაჩანჩალად?

ვის ეყოფა სიმამაცე
გაუმკლავდეს იმის სხივებს,
ვინ არის, მის ტრფიალებით
არ გაახურ-გააცივებს?

ვინ არის არ ანაცვალოს
ეშხსა მისსა თვისი თავი
და ვექილიც ხომ კაცია,
ჩვეულებრივ მომაკვდავი!..

ოქროს კერპის ტრფიალება
მათაც მიაყენებს ვნებას:
დღისით მადას უორკეცებს,
ღამით უსპობს მოსვენებას,

წრფელი გრძნობის სიფაქიზეს
უჩლუნგებს და ნისლში ახვევს
გულისცემას უორკეცებს
სურვილებით თავ-ბრუს ახვევს

თვისკენ ურცხვად მიიზიდავს,
რომ კაცობა მისი ჩანთქას
და ვექილიც ხელს გაუწვდის
ან კი აბა რა უნდა ქნას?

„აგენტების“ რაზმებს იკრებს
კლიენტების შესაზვერათ
და ყოველგან აბამს ქსელებს
მათ გასაბორკ-დასაჭერათ.

როგორ ხდება ეს ამბავი,
ადვილათ არ გაიგება
და მაგალითს რომ მივმართოთ
უადგილო არ იქნება.

II.

ვთქვათ დათია შავბედიძეს
თავს დაატყდა მარცხი რამე...
ვსთქვათ დასწამეს ყაჩაღობა
(ქუჩაში თუ შეხვდენ ღამე)
ან არსებულ წყობილების
დასამხობათ ცდა და შრომა,
ან განვლილი ერთობის დროს
წითელ რაზმელებში დგომა,
ან იქნება მომდურავმა
მეზობელმა დაასმინა
და საცოდავ შავბედიძეს
ციხის ბნელში მისცეს ბინა,

შეუდგინეს მკაცრი ოქმი
129 მუხლის ძალით...
(ვინ იტყვის რო მსგავსი საქმე
არ ენახოს თავის თვალით?)

შავბედიძის ბეჩავ ცოლსა
არსად უჩანს სხვა სახსარი,
თუ ხორაგი არ გაჰყიდა
და არ გამოიხსნა ქმარი.

ქალს კი არა ვაჟკაცს უჭირს
ამგვარ საქმის მოგვარება ..
ამიტომაც უზომოა
დედაკაცის მწუხარება.

მოაგროვა ორი გროში
და მიადგა სასამართლოს...
სურს ვექილის დახმარებით
ქმარი იხსნას, გამართლოს

მაგრამ აი, ქუჩის ყურას,
ატუზულა ვიღაც გვამი...
გამოცდილი თვალი იცნობს,
მაგრამ ქალი იყო ხამი

ის სულყველა „ტკბილ მოუბარს“
პატიოსან კაცად რაცხდა
და რა ვუყოთ გულ უბრყვილო
თუ სასტიკათ დაგვიმარცხდა.

მან აგენტი მიიჩნია
გულ-მომჭირნე ჭირისუფლად
და უამბო ყოველივე
გაიძვერას თავისუფლად.

რა იცოდა საცოდავმა
თუ დღე ედგა სავაგლახე,
თუ ეს ვექილ ობობაძის
დაგებული იყო მახე...

(ჯერ ისა სთქვით: თუ რა მსჯავრი
ეკითხება თვით სამსჯავროს,
და აქ უნდა ვიღაც ბილწმა
კიდევ ორმო გაგითხაროს!!)

აუხსნა მან ქვრივს, საბრალოს,
რომ ვექილი, როგორც ღმერთი,
ეს დათიკო ობობაძე
არის მხოლოდ ერთად ერთი.

ქვრივ ოხრების მწყალობელი,
ენა მჭევრი, სიტყვა სწორი,
იმის ფასი ჩვენ კი არა
რუსებს არ ყავთ ერთი-ორი.

ის უთუოდ გამოიხსნის
შენ საბრალო დათიკელას,
ვის საქმესაც კი აიღებს
უცილოდ ამართლებს ყველას ..

ფულსაც ბევრს არ გამოგართმევს,
ფული როდი ეხარბება...
სულ ბევრი ვთქვათ, ორმოციოდ
თუმანი დაგეხარჯება.

მაგრამ შენ თუ ღარიბი ხარ
იქნებ კიდევ ქე დაგიკლოს,

ჩემი ხათრით, იმედი მაქვს,
ოცის მეტი არ წაიღოს.
დაუჯერა და მიენდო
აგენტს ცოლი შავბედიძის
დანარჩენი ოინები
ობობაძემ თითონ იცის.

III.

მდიდრულ მორთულ კაბინეტში.
მწვანე ხავერდიან სტოლთან
სავარძელში ზის დათიკო
და ბაასობს თავის ცოლთან.
ერთი თვეა მის კაბინეტს
უცხო ვინმე არ უნახავს,
დათიკოსაც დღიურ საქმედ
არშიყობა დაუსახავს.
ზარის წმინდა წკარა-წკური
ქალს შეაკრთობს უცაბედათ
გადის სხვა მხრით... ობოძაძე
რჩება სტუმრის დასახვედრათ.
გაიღება მორცხვათ კარი
ფეხ-აკრეფით შედის ქალი
გაყვითლებულ გაცრეცილი,
ნაღვლიანი და ფერ მკრთალი.
მოწიწებით სალამს აძლევს,
შორი ახლო დგება კრძალვით
და შესცქერის თავის „მფარველს“
მორიდებითა და მალვით.
— აქ დაბრძანდით ქალბატონო,
(ობობაძე ამბობს ტკბილათ,
ხელით სკამზე მიუთითებს
ზრდილობიან მოხდენილათ).
რითი უნდა გემსახუროთ,
აბა ბრძანეთ, მომიყევით...
და თუ რამე შემეძლება
იმედი მაქვს შეგეწევით.
ქალმაც სიტყვა არ დაზოგა
და უამბო სრულად ყველა:
თუ როგორ და რა საქმეში
დაიჭირეს დათიკელა.
თან დასძინა, რომ ათ თუმანს
მოახერხებს, მისცემს დამცველს,
თუ რომ თითონ ობობაძე
ინებებს და მოჰკიდებს ხელს.
— რას მიბრძანებთ დალოცვილო...
გეფიცები ჩემს სამ ბიჭებს,
რომ ათ თუმნათ ამგვარ საქმეს
ხელს არავინ არ მოჰკიდებს.
მე ხომ მაინც დრო არა მაქვს
სხვა საქმეებს ვერ ავდივარ,
მაგრამ როცა ამას ვამბობ,
სიძნელიდან გამოვდივარ.
შენ რა იცი, ჩემო დედი,
ეგ საქმე ჩვენ რა გვიჯდება!
სხვას რომ თავი დავანებოთ
სისხლი, სისხლი გვიფუქდება.
129 მუხლი ჭძევს
და სასჯელი დიდი ელის:
ჩამოხრჩობას თუ გადარჩა
კატორღა ხომ გამოელის.
მართალია მე მსაჯულებს
ყველას ვიცნობ, სჯერათ ჩემი,
მაგრამ ახლა დრო არა მაქვს
თქვენთვის რჩევის მოსაცემი.
ის აჯობებს სხვას მიმართოთ...
ცოტა არის სხვა დამცველი?
არ მგონია წურბელაძეს
ეცოტაოს სასყიდელი.
ელდა ეცა ქალს საბრალოს,
გული უფრო გაუმწარდა...
დათიას თუ დაახრჩობდენ
ფიქრადაც არ გაუარდა.
— შვილო ყელი არ გამომჭრა,
არ დამღუპო, არ თქვა ვარი,
(იმ საბრალოს კიდევ ყავდა
გასაყიდი წყვილი ხარი)
ოჯახს სულ მთლა დავაწინდრებ
და მოგართმევ, არ დავზოგავ..
შენ ხარ ჩემი მაცხოვარი
ახლა სხვებთან აღარ ვღოლავ.
— დედა-შვილობასა ვფიცავ,
შენთან არ მაქვს დასამალი,
ავიღებდი, მაგრამ რა ვქნა
სხვა საქმე მაქვს დიდი ძალი.
აი დღეს ერთ გაჭირვებულს
ორმოც თუმნათ გავურიგდი,
მეტის მეტათ შემებრალა
და დავთანხმდი, რაღას ვიქდი...
მეორეს კი ვარი ვუთხარ
შეძლებული კაცი იყო...
სამოცდა ათ თუმანს ვსთხოვდი,
განსამოციც არ გაიღო.
ორი კაცი ამას წინეთ
სწორეთ თოკზე ჩამოვხსენი,
მაგრამ იცი მათ დაცვაზე
სისხლი წახდა რაოდენი?
თქვენ კი ისევ სხვას მიმართეთ,
მე წინდაწინ ვიღებ ქირას
და შენ ალბათ ხელში ახლა
ნახევარიც არ გიჭირავს.
— კი ბიტონო, ქენ წყალობა,
თორმეტ თუმანს დღეს გიბოძებ
დანარჩენსაც ხვალ მოგართმევ
ღმერთს ვფიცავ და დავიმოწმებ.
— კარგი, რა ვქნა, მებრალებით
ხელ-მოკლე ხართ და საწყალი,

ჩემს ადგილას სხვა რო იყოს
მაშინ ვაი თქვენი ბრალი...
მადლობა ღმერთს, ვინმე აგენტს
რომ არ ჩაუვარდით ხელში,
თორემ თქვენი ქმარის ბედი
სწორეთ იყო განსაცდელში...

IV.

შავბედიძის ცოლის შემდეგ
მყისვე გაჩნდა ის „აგენტი"
იმ თორმეტ თუმანიდან
მას უწევდა რვა პროცენტი.
დიდი ხანი იოხუნჯეს
შავბედიძის ბედკრულ ცოლზე,
გამარჯვების აღსანიშნათ
საკბილოც გამოჩნდა სტოლზე...
შემობრძანდა ობობაძის
ახალგაზრდა ნიხევარი,
სახეს ღიმი გადაეკრა:
მხიარული ნახა ქმარი...
მყის ბავშვებიც მოიწვიეს
და გაჩაღდა შვება-ლხინი
ზოგს აღუთქვეს ჭრელი ქუდი,
ზოგს ბურთი და ზოგს ტიკინი.
ბოლოს აგენტს ჩააბარეს
მისი წილი გასამრჯელო
და წავიდა, რომ განაგრძოს
საქმე ეგზომ სასახელო.

V.

ჩოჩქოლია სამსჯავროში
ხალხი მოსჩანს სახე მწყრალი:
ხმა დადის, რო ობობაძე
„იცავდაო" ძალზე მთვრალი
თურმე ენა ებმებოდა,
რას ბოდავდა არ იცოდა,
(სხვა მის ადგილას, ამ ყოფაში
სირცხვილითაც დაიწოდა...)
გამოცხადდა განაჩენი...
შავბედაძეს ეცა... ელდა
მას ცხენში ჯდომის ვადა
სამ წლით კიდევ გაუგრძელდა.

ეშმაკი.

სირთა სამეფოში.

(ლირიკული აკორდები)

„ჟივ", „ჟივ", „ჟივ", გასძახა მამალმა დედალს. დედალი ამ დროს საძებარზეიყო. ათვალიერებდა ბუდისათვის მოხერხებულ ადგილს ეძებდა, მამლის ძახილს ყური მოჰკრადა გამოეძანა: „რა ამბავია?" შეეკითხა.—„ვნახე აი, ვნახე!" მიეგება აღტაცებული მამალი და მეტის სიამოვნებისაგან ცმუკვას მოუხშირა; შეხტა ფუღურო ში, სადაც, მისი აზრით, ბუდე უნდა გაკეთებულიყო, გამოხტა, შეიცეკვავა, შეტოკდა, შეიფრთხიალა. მის მხიარულებას საზღვარი აღარ ედო. გამარჯვებული ის თავის მამლურ სიამაყეს მთელი სიძლიერით იჩენდა დედლის წინაშე.

„მართლაც, რა კარგია... დაეთანხმა მოკრძალებით მამალი და ერთიც ნაზათ, მოხდენილათ მამლის წინაშე ჩამოიცეკვავა. თვალ-წარმტაცი იყო იმათი ალერსი ერთი მეორისადმი! თითქო აქ, ამ ახალი ბუდის საძირკველთან ხელახლა ინასკვებოდა იმათი სიყვარულიც, წმინდა, ანკარა, თავისუფალი, ძალდაუტანებელი...

„ჟივ", „ჟივ", „ჟივ", მწყობრად დასძახეს ჩიორებმა და მსწრაფლ თვალთაგან მიიმალენ, ისარივით გადაეშვენ ცის არეს, თითქოს მიზანი უკვე მიღწეულია, სურვილი—დაკმაყოფილებული და ეხლა სასეირნოდ გაეშურენო! ვინ იცის, იქნება სხვა რაიმე საზრუნავიც ჰქონდათ?! მაგრამ „საზრუნავი"!..ეგ სიტყვა უადგილოთ, შეუსაბამოთ მეჩვენება. ყოველი მათი მოძრაობა, მთელი მათი სიცოცხლე თამაშ-სეირნს, შეუწყვეტელ მხიარულებას უფრო წააგავს, ვიდრე საზრუნავიანსა და სიქმიანს ცხოვრებას. საზრუნავ-სავალალო მათთვინ ერთია მხოლოთ: ეგ მტაცებლებისაგან თავის დაფარვა. ოჰ, მტაცებლები! მტაცებლები! ნეტა რას გაწითლდი, ადამიანო?! იქნებ მიმიხვდი, რომ ერთი საბრალმდებლო სიტყვა შენსკენაც არის გადმოტყორცნილი?...

*
* *

„ტურფავ, ტურფავ, გაზაფხულო!" ჰგალობს შაშვი. ამ სიმღერას თავის განსაკუთრებულ დროს უჩენს იგი. ეს არის მისი სრული ნებივრობის წუთები. დამაშვრალი, გამაძღარი, სატრფოს ალერსს დიდათ მოწყურებული ზის ის ხის ან ჩირგვის მწვანე ტოტზე და მღერის... მღერის, მაგრამ სინაზესა და მიმზიდველობაში თვით ბულბულსაც კი ეცილება. ბედნიერათ ესოვლი ყველას, ვისაც კი

შაშვის ამ სიმღერისთვის ყური დაუგდია, იმისი სმენით დამტკბარა. უბრალო ხალხი რა არის, ისიც კი აღტაცებაში მოჰყავს ამ სიმღერას და მას იგი— „შაშვი ლოცულობსო“—ასე იხსენიებს. დიახ, მორწმუნე ლოცვის დროს თუ იგრძნობს მსგავს სიტკბოებას, როგორსაც ეგ სიმღერა ჰბადებს ადამიანის გულში.

— „მშვენიერო არემარევ!“ გამოსძახის მეორე, მღერის მესამე... მეოთხე... ყველანი გაზაფხულს, არემარეს, კეკლუც ბუნებას, ამ ქვეყანას უმღერიან; ისინი ამაოში ჰპოებენ სილამაზეს, შნოს, სიტკბოებას, არსებობის აზრს. ლაჟვარდ ცაზე, ვარსკვლავებზე სიტყვასაც არ ჩამოაგდებენ. თვალუწვდენ წიაღს სამყაროსას იმათი ოცნება არ ერთვის, სიცივსა და წყვდიადზე ისინი არა სჩივიან... მზეს კი ეტრფიან. მზე ისეთი მშვენიერი, თბილი და კეთილია... მას შენაც კი ეტრფი, ადამიანო, მაგრამ თან კიდევაც გძულს იგი!

* * *

„ჰკაფეთ, თესეთ! ჰკაფეთ, თესეთ! მოიკაკვეთ!.. ხა-ხა-ხა-ხა!“ იცინის, იცინის გუგული. ადამიანები მას უგულოს, გაუტანელს და მშობლიური გრძნობის უქონელს არსებას ეძახიან. ასეთი მტრული აზრი ადამიანისა გუგულზე, ჩემის აზრით, რამდენიმეთ ბუნებრივიცაა. მართლაც და იმ დროს, როცა ადამიანი საგაზაფხულო შრომის მძიმე უღელ ქვეშ არის ქედდახრილი, მას ესმის და აჯავრებს გუგულის დამცინავი კილო. „ჰკაფეთ, თესეთ! მოიკაკვეთო“, დასძახის გუგული ადამიანებს, თითქოს ეუბნება: „ოჰ, რა საბრალონი ხართ მაგ ტვირთ ქვეშ, თქვე უბედურნო! ვისთვის ან რისთვის ებღაუჭებით მაგ მძიმესა და ძნელს ჭაპანს? ნუ თუ არ გინდათ, ერთხელ მაინც ჩაუკვირდეთ თქვენს ოხერ ხვედრს? ნუ თუ არ გინდათ, გაიგოთ, რომ თქვენის შრომით მხოლოთ სხვის სიმდიდრეს ქმნით? რომ თქვენის ოფლიდან სხვები ნექტარს იმზადებენ, თქვენ კი ნაღველ-ძმარს ეწაფებით?! თქვენ—შრომა, სხვებს კი—ძღომა და ბედნიერება! ოჰ, საბრალონო! ჰკაფეთ, თესეთ, მოიკაკვეთ, ხა-ხა-ხა-ხა!.. იცინის, დაგვცინის გუგული.

* * *

„ვიშ“, „ვიშ“, „ვიშ“, რა კარგია თავისუფლება! ჩვენ არც ვკაფავთ, არც ვთესთ, არცა ვმკით, მაგრამ ყველაფერი კი გვაქვს: რატომ? იმიტომ, რომ თავისუფალნი ვართ, თავისუფლება გვიყვარს! არა ჩვენ თვითონ თავისუფლება ვართ, მოძრავი, ფრთა შესხმული თავისუფლება! ტყვილა კი არ გვეძახიან ჩვენ „ღვთის ქათამს“ ადამიანები, ეგ მიწიერი მსგავსებანი ღვთაებისა! ჩვენ კარგათ ვიცით, რომ იმათ შეშურთ ჩვენი თავისუფლება. ჩვენ კი გვებრალება ისინი, გვენანება! ამიტომაცაა, რომ იმათი საბრალო ქოხმახების ბანებსა და დერეფნებ სახურავებ ქვეშ ვიკეთებთ ჩვენს ბუდეებს. ბუდეებს მიწისაგან ვიკეთებთ. მიწა ჩვენ ძალიან გვიყვარს, მხოლოთ ფეხის დადგმა, ცხოვრება მაზე კი არ შეგვიძლია, რადგანაც იმისი ზედა პირი თავისუფლების მოძულე ადამიანების ტერფებისაგან არის გადათელილი. მიწისადმი ჩვენი ღრმა პატივის ცემის ნიშნად, ვეძებთ და ვარჩევთ მის ნაწილს, რომელსაც ადამიანის უწმინდური ტერფი ჯერ არ გაჰკვრია და არ დათელილა, იმისგან ვზელთ „წმინდა“ ტალახს, აგვაქვს ის მაღლა და იქ ვიკეთებთ მისგან ბუდეს, ჩვენი მომავალი თაობის აკვანს! „წმინდა დაუთელავი მიწა“. აი ამ აკვნის კედლები! ადამიანთა ცხოვრებას რომ ვუკვირდებით, ერთი სამწუხარო ეპვი გვებადება: ვაი თუ ერთ მშვენიერ დღეს მიწის პირი სულ მთლად „გადათელილი“ აღმოჩნდეს, ასე, რომ ჩვენ ბუდისათვის მასალაც კი ველარ ვიშოვოთ! მაგრამ არაფერია! ჯერ ხომ ეს აზრი სინამდვილეთ არ ქცეულა და, ვინ იცის, იქნებ არც იქცეს! ჩვენ გვწამს, რომ თავისუფლების ღმერთი, როცა იქნება, მიწაზედაც ჩამოადგამს თავის წმინდა ფეხს და მაშინ თვით მისი ნატერფალიდანაც კი მოკაზელთ ჩვენის ბუდისათვის „წმინდა ტალახს“, „ვიშ“, „ვიშ“, „ვიშ“, „ვიშ“, ოჰ, რა კარგია, რა მშვენიერია თავისუფლება“!..

* * *

„ტია-ტია, ტია-ტია“, ეძახის ბულბული ვილაცას, რაღაცას დაეძებს, ეძებს... „სატრფოს ეძებსო“, ამბობენ მგოსნები. ვეთანხმები მათ. დიახ ეძებს ბულბული სატრფოს, მაგრამ ნახა, თუ არა, ნახავს, თუ ვერა? აი კითხვა რაშია!..

„ტია-ტია“, ჰგალობს ის, შემომჯდარი ვარდისა პოწკვზე. აი, სატრფო! ვარდის გადაღეღილი, საამურად გაშლილ-გაფურჩქნული მგზნებარე მკერდი, სიმშვენიერით, სურნელებით სავსე. ასე ჰფიქრობთ: უნახავს სატრფოვო, უმზერთ ამ თვალწარმტაც სანახაობას, ტრფობის განხორციელების ასეთ სურათს და თქვენაც იმეორებთ: „ვარდსა უგალობს ბულბული“.

„ტია-ტია-ტია,“ მოისმის კვალად. აი ის ჩამომჯდარა პატარა ტოტზე სამარის პირად, ახლოს —არც ვარდი, აღარც ია, არცა—სოსანი! სევდიანია, ნაღვლიანი იმისი სიმღერა! ის ისევ იწვევს, ეძახის...ნეტავი ვის? რას? სატრფოს?! აკი ვარდი...

მაგრამ, არა... იმისი სატრფო სულ სხვა გახლავთ. ხილულთა შორის იმას ვერ ხედავს. იცის მხოლოთ, რომ ის ლამაზია, მეტის მეტად ნაზი და მშვენიერი. მოდის ვარდთან, იასთან, აკვირდება, უმღერის მათ, მაგრამ ესენი ვერ აკმაყოფილებენ მის სურვილს, ესენი ვერ უწევენ მას ნამდვილ სატრფოობას. ის იმაზე უფრო მშვენიერი, უფრო თვალწარმტაცი უნდა იყვეს, ჰფიქრობს ბულბული და ეძებს, ეძახის მას, ნამდვილ სატრფოს! ეძებს მას დღისით, ღამით ბინდისას, გარიჟრაჟზე და ასე— წლიდან-წლობით, განუწყვეტლივ... ცოცხლებშორის რომ ვერ უპოვნია, აი ეხლა აქ მოსულა, სასაფლაოზე. იწვევს, ეძახის, მაგრამ ამაოდ! არავინ გამოსძახის. სჩანს, სამარეშიაც არ ყოფილა ის, თორემ ამ ტკბილ დაძახილზე ის იქაც-კი გაიღვიძებდა, ადგებოდა და პასუხს გასცემდა... უიშედოა, სევდიანი ბულბულის მღერა, მაგრამ ტკბილი და საამური იმავე დროს!.. ის სინაზე და სიტკბოებაა მთლად! ის უკვდავების წყაროს საამური ჩხრიალ-დუდუნია, ბუნების მომჯადოებალი, მგოსანთა სატრფიალო საგანი. ის თვით თავისუფლების ჰანგია, იმისი დაძახილი, გულ დაკოდილი სატრფოს ამონაკვნესია...

„ტია-ტია“, გასძახის ბულბული. იწვევს და ეძებს თავისუფლებას! ეძებს მას გაზაფხულის სიკეკლუცეში, მობიბინე ველ მინდორში, რუთა ჩხრიალ-დუდუნში, მოშრიალე ბაღებში, ნაღვლიანი ტყის კიდურებში, ჩირგვ-ბალახებში და სასაფლაოზეც... სამარეში... მაგრამ ამაოდ! მოისმის მხოლოდ იმისი სიმღერა, კაეშნიანი იმისი ძახილი! არემარე, სმენად ქცეული, სტკბება ამ ხმებით, მაგრამ არავინ კი არ იძლევა პასუხს, არავის კი არ სურს მგოსნის დაკოდილი გულის გამრთელება, მისთვის ნუგეშიანი სიტყვის თქმა. სატრფო კი... იგი ისევ საძებარია!.. „ტია-ტია-ტია“, ათავებს ბულბული ერთ ჰანგს, ათავებს, რომ ისევ წამოიწყოს მეორე, უფრო სევდიანი და ტკბილი, უფრო მწარე და საამური...

ნ. ზომლეთელი.

ს ა ლ ა მ უ რ ს.

დაკვნესე გრძნობით და იქვითინე,
გულწრფელი გრძნობა მთა ბარს ამცნევი!
დახე, ყურს უგდებს შენს ამონაკვნესს
უცხო წალკოტი, წარმტაცი ხევი...

აღარ იტყუო!.. ჰანგი შეუწყვე,
მიმოაპნიე ნაზი ხმა არეს...
ხან ტკბილათ სტვენდე გულის ამყუჩად,
ხან დასძახებდე სევდიანს, მწარეს...

ხან ცას აფრინდი ანგელოზის ხმით,
ლაჟვარდს ეწვიე, მიეხმატკბილე...
გულს გამიტეხავ ცალმხრივობისთვის
ძირს დედამიწაც თუ გააწბილე...

ყველას მიუტა რაც ჩამოგძახო:
კვნესა გულისა და შფოთვა სულის...
ყურში ჩასძახე მეტ)ყველთ, უენოთ
ტაჯვა და ოხვრა აქ სიყვარულის...

უთხარ ყურის მგდებთ: იუდა მეფობს
კაცთ სამთავროში გალაღებული,
უთხარ, რომ ეკლით დაჩხვლეტილია
ძმობა, ერთობა და სიყვარული...

ყველაფერი სთქვი არ მიღალატო,
არ მიორგულო სხვებივით შენაც,
ხომ ხედავ შენში ჩავასკვენ, ჩავწენ
მე წრფელი გრძნობაც და აღმაფრენაც!..

შენ დამრჩი მარტო დღეს იარაღათ,
შენ მოგანდევი აზრი და გრძნობა!..
შენც მიერთგულე დამეხმარევი,
ყავარჯნათ მექეც, მიქენი ძმობა!..

. . . . . .

მაშ ტკბილათ, ტკბილათ... ნაზათ იმღერე,
არ დაივიწყო თან სევდა, დარდი...
იქ რუს მიუტა ჩემი ამბავი,
აქ ჩამიკოცნე ია და ვარდი...

იქნების სატრფოც სადმე მინახო?
იმასაც უთხარ ჩემი გოდება,
უთხარ, რომ მაზედ ვლოცულობ მუდამ,
დღე, ღამე ბნელში ის მაგონდება ..

უთხარ... მარა... ჰე!.. ვის გაგონია
მიჯნურთა შორის შუამავალი?..
ეხ, სალამურო! სატრფო სადა მყავს?
რათ ვერა ხედავს მას ჩემი თვალი?

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

გული ამემღვრა მიმოგონებით
და უკანასკნლად ქოხოვ, სალამურო,
რომ ამისრულო რაც დაგაბარე
ხმა სევდიანო და საამურო...

ვ. მალაქიაშვილი.

შთაბეჭდილება.*)

ვაჟა ფშაველას „ცრემლები“!

თვალწინ წარმომიდგებოდა ხოლმე: მარგალიტის მარცვლებათ, ქცეული, ანკარა გამსჭვირვალე წვეთები, ნამდვილის, ძალადაუტანებელის და სადა პოეზიის გადმონაწურავი ცრემლების მძივი...

მოსთქვამს შვლის ნუკრი, ქვითინეს მთის ნაკადი, სტირის საბრალო ია, გოდებს ბუმბერაზი მთა,

*) იხ. ვაჟა-ფშაველას ლექსები. გვ. 21. «თმა გრძელა-ჰკუა-თხელა“

დრტვინავს გულ-ჩათხრობილი წარბ-შეკრული ტყე, კვნესის დაჭრილი ჯიხვი—და ამ მტირალ ბუნების წიაღში დადის ნელა, ყურებ დაცქვეტილი და სმენათ გადაქცეული ღვიძლი შვილი შვენიერი ბუნებისა, ჩვენი ნიჭიერი პოეტი, „გველის მჭამელი“ ვაჟა და გულ-მოდგინეთ ჭკრებს და ჭკრებს ანკარა ცრემლებს...

და როცა შეაგროვებს გააკივებს, რომ აღარ დაიღვაროს, მარგალიტის მარცვლებათ ჩამოასხამს, გაუყრის ძაფის-წილ თავის ნაზი პოეზიის ოქროსფერ სხივს და .. ჩამოურიგებს ქვეყანას!

და მაშინ! მე და ათასი ჩემისთანა უბრალო მკითხველი, ძალათ-გაცხოვნებ მგოსანთა ტლუ ლექსებით ხახა-ამოვსებულნი, შმაგათ დავეწაფებით ნამდვილი პოეზიის წყაროს და დროებით მაინც ჩავრეცხთ ყელში გაჩრილ უგემურ ძვლებს ვითომდა-პოეზიისა...

მაშინ ჩვენ, მკითხველები, განვიცდით უმწიკვლო აღტაცებას და ვეზიარებით დამწერის სულის კვეთებას.

რადგან ჩვენ თვალწინ გადაიშლება მომჯადოებელი სურათები, ვარდისფერი ქვეყანა გრძნეული პოეზიისა, სწორეთ იმ სახით, რა სახითაც დამწერს ედგა თვალწინ, როცა მის თავში შემოქმედების დიადი საიდუმლოება ხდებოდა ..

მაშ, თუ ასეა, მალე გამოვიდეს ვაჟა-ფშაველას „ცრემლები“!

განა საკვირველია, რომ ამ ნაირი იმედებით აღვსილთათვის მოლოდინის ზანტ წუთთა ზლაზნვაც ტკბილი იყო?

როდის გამოვა ვაჟას „ცრემლები“? ვნატრობდით მკითხველები.

ვაჟას „ცრემლები“ გამოვიდა! მაგრამ...

მაგრამ წარმოიდგინეთ სუნნელოვან და ლამაზ ყვავილთაგან შეკაზმული თაიგული და შიგ შუაგულში მყრალი, ავსუნიანი უშნო ბალახი.

ხომ დაუშნოვდა და ამყრალდა მთელი თაიგული!

ან და წარმოიდგინეთ: თქვენს წმიდათა-წმიდაში, საკურთხეველში, საცა ლოცულობთ და განეშორებით ყოველივე ქვეყნიურ ამოცებას, დაგხვდათ ტალახში ამოსვრილი, გათხუპვნილი ბინძური ღორი

ხომ წაიბილწა და გაუპატიურდა საკურთხეველი!

რა გრძნობა შეგიპყრობსთ მაშინ?

სწორეთ ამგვარი გრძნობა განვიცადე, როცა „ცრემლებში“ წავიკითხე ლექსი, რომელიც ბ. გამომცემელს „სამწუხაროთ“, თურმე, „შეჰარვია“...

გულ-დაწყვეტილობის, მწუხარების, მწარე საყვედურის გრძნობა...

ერთმა გამოჩენილმა მეხმლემ მხოლოთ ერთი შემოკვრით თავი გააგდებინა მტერს. ეს ისე მსწრაფლ მოხდა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალმა მოკვეთილმა თავმა საყვედურით აღსავსე თვალებით შეჰხედა მკვლელს და მოასწრო:

— რათ, რათ, რათ მომკალი, სამუელ!

ეს, რა თქმა უნდა, არაკია.

ერთმა გამოჩენილმა პოეტმა მხოლოთ ერთი ლექსით თავი მოკვეთა თავის პოეზიას. თმა-ხუჭუჭი, შვენიერი თავი საყვედურით სავსე ცისფერი თვალებით შესცქერის მშობელ-მკვლელს და იძახის:

— რათ, რათ მომკალი, მშობელო!

ესეც, რა თქმა უნდა არაკია; მაგრამ უფრო დასაჯერებელი, ვინემ პირველი:

ვაჟა-ფშაველას პოეზია ამით არ მოკვდება; მაგრამ ნახმლევი კი დაიჩნდება კისერზე...

მე ცრემლები მინდოდა, მხოლოთ ცრემლები!

რათ გაურიეთ საზიზღარი თვალთა ნაძირი?

მე არ მინდა წირპლიანი ცრემლები!

კნუტ ჰამსუნის „გველის მჭამელი“ ნაგელი („მისტერიების‘ გმირი‘, რომელიც, ვაჟას მინდიასავით, მეშჩანური ცხოვრების მსხვერპლი შეიქნა, ამბობს, რომ ნამდვილ გენიოსს არ შეჰფერის სინანული და სირცხვილიო.

ალბათ, არც ვაჟა ნანობს, არც მას სცხვენია წირპლის საქვეყნოთ გამოტანისა.

თუ ასეა, ნება გვიბოძეთ, ჩვენ, უბრალო მკითხველმა დავირცხვინოთ და შევინანოთ.

რადგანაც ჩვენ მხოლოთ ცრემლებს მოველოდით და გვიხაროდა, წინდაწინ ვამაყობდით.

ახლა კი გვწყენია და გვცხვენია, რადგან შვენიერი ბუნების წიაღში მოკრებილ ცრემლებს ვაჟა-ფშაველამ...

შალვა შარაშიძე.

პეტერბურგი, 4 აპრილი.

P. S. არც ბ. გამომცემელს სცხვენია. ან, იქნებ, მასაც გენიოსათ მოაქვს თავი?

დაბეჭდა ხულიგანური, უნიჭო და ულაზათო შაირი და წარბშეუხრელათ, ცინიკურათ, ვითომ აქ არაფერიაო, „აღნიშნავს“:

„სამწუხაროთ (თუ სასიამოვნოთ?), უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სიჩქარის გამო (რა გაჩქარებდათ?) ამ კრებულში შეგვეპარა (თუ შეპარეთ?) ლექსი, რომელსაც ტენდენციური (თუ ხულიგანური?) ხასიათი აქვს“.

ნუ თუ ბ. გამომცემელი იმ ზომამდე გულუბრყვილოა, რომ ფიქრობს, ამ ბოდიშს დაუჯერებენ?

არა, ჭეშმარიტათ ამასაც გენიოსათ მოაქვს თავი, თორემ გაგონილა ასეთი თავხედობა და მკითხველების აბუჩათ აგდება?

შ. შ.

დიდხანს ვეძებდი.

I.

დიდხანს ვეძებდი. მოვიარე ირგვლივ სამყარო,
მოუსვენარათ დავდიოდი დღით და ღამითა,
კამოსაცნობათ ზოგი ვუშღიდი გულს ფიანდაზათ,
ზოგი კი ვუმღერდი სიყვარულის, ძმობის ჩანგითა.
წრფელ მიზნისათვის არ დავზოგე მე ჩემი თავი,

ტანჯვა-გასაჭირს ძლიერ მკერდით ვეგებებოდი,
სასტიკ ტალღებში შეკვეთურე თამამი ნავი,
მძლავრსა სტიქიას გაბედულათ ვეომებოდი.
მაგრამ მოგსტეუვდი... იმედები მთლად გამიტრუვდა
და დავუძლურდი, დავუძლურდი გულ-სევდიანი,
ვედარც ხმელეთზე, ვერც ზღვაზედა ჯერ ვერა ვპოვე
მე რომ ვეძებდი ის დიადი ადამიანი.

II.

მგოსანი ვნახე: ხელში ეპერა ჩანგი სამოო,
თანასწორობას და სიყვარულს უმღერდა მარად.
მის სიმღერები გულს ატკბობდა, ვით წყლულს მალამო,
თვით კი სხვას მტრობდა, სიყვარული მიჩნდა არად.
მდიდარი ვნახე: მრავალად ჭქონდა მიდიონები,
გულ-უხვი იყო, ძმა-კაცებში ხარჯავდა ბევრსა;
„ხელ-გაშლილ“ კაცსა უწოდებდენ მას ნაცნობები,
გახვრეტილ გროშს კი არ მისცემდა ობოლ-ობერსა.
მუშაც ვიხილე მოქანცული და კურტნიანი,
მაგრამ ებრძოდა თავის მოძმეს გულ დვარძლიანი
და ერთხელ კიდევ მე დავწმუნდი, რომ ამ ქვეუნად
ადარ არსებობს, ძმავ, სამდვილი ადამიანი.

III.

ოჰ, ეს ცხოვრება უკუდმართი, უსწორ-მასწორი
და დღევანდელი პირობების მრუდე სასწორი,
წყარო ეოველ-გვარ გარუვნილების, უსინდისობის,
კაცთა მონობის, დაჩაგვრისა, შურის და მტრობის.
სიცოცხლეს სწამლავს, აზრს აჩლუნგებს, სულს ადუხ-
ჭირებს,
უფრსკულისაკენ მიაქანებს შრომისა შვილებს;
ძმას ძმას ამტერებს, მათში ჭბადებს სასტიკ სიძულვილს,
ბევრს გულს უკოდავს, ავადადებს, ანატრებს სიკვდილს.
ამ სათავიდან გადმოქუხს და გადმოსჩქეფს მარად
ეგ ბოროტება საზიზღარი, შხამ-გესლიანი
და სანამდისინ მისი ნაშთიც არსებობს ქვეუნად,
მანამ არ ძალგეძს გპოვოო ჩვენ ის ადამიანი.

ნ. ჩხიკვაძე.

მიბაძვა

ზოგიერთ ახლანდელ პოეტებისა და ზოგიერთ მგელებისაც, რომელთაც იწყეს ახალსა მოდაზე ლექსებისა წერა.

სიხარული,
ფრიად სრული,
სიყვარული,
აღზნებული,
ცეცხლ შერთული.
დიდებული,
შამომაწვა გულზე.

საყვარელო,
სანატრელო,
დარდის მკვლელო,
შვების მგვრელო,
ელო, მელო,
შვებავ მთელო,
არ გაგცვლი შენ ფულზე.
მინდორ-ველი,
კოხტა, ჭრელი,
სიო ნელი,
ზღაპრის მთქმელი,
მირბის შველი,
შენ მიშველი...
დამეხრაკა გული.
გასკდა მთაი
და ამბავი
გულსაკლავი,
დამლუპავი,
ძმას კლავს ძმაი
ვაი, ვაი...
წაგვიხდა მამული...
ამირანი
მძლე ხმიანი,
ცხენიანი,
ცელიანი,
თოფიანი,
უთხართ ბანი...
მიაჭედეს მთაზე...
მოჰქრის ცხენი,
მკერდის მჩენი,
დაღ-დამჩენი,
შვების მფენი,
მარდი, მფრენი,
მხსნელი ჩვენი...
გაწყდა ჯაჭვი შვაზე!

კენტი

გურული სცენა.

პარკის გაყიდვა.

(ქალის გოდება)

— წელი მოვიწყვიტე გული მივაკალი, რაცხა ნაპინჭევი მქონდა ბეოლზე ნაბლატუნი ბეოლის კატარში მივახიე, ციცას ბეოლის ნათრაქავი კიმკიმაი აქ ამუარდნილი, ისე გეიარა თვენახევარი ქმარიზა თფილი ჭადი არ მიჭმევია, ბაღნები არ დამიბანია არ დამირეცხა ეზო არ დამიკანკალებია ერთი ხეირიანათ პირი არ დამიბანია, საუტარზე პიჯვარი არ დამიწერია, მეზობლისას არ გადამიარია, გემოიანათ არ დამიძინია, კატა მე მამჯავრებდა, თაგვი მე მამჯავრებდა, თავშავი არ მაყენებდა და შავ-ფეხი, ელვა და ქუხილი. ღამე ძილი არ იყო ჩემდა და დღეი მოსვენება ასე მივაკტი, ასე მივაწყტი, ქმარიანა, შვილიანა, რძლიანა და სიედრიანა, რაცხა დამაჩთება, რაცხას წევიყენებ, თითო ხელს ყველას ჩამოვცხებ მეთქი, აბა იგი მეც ქე ვიცოდი, იმით რომ მე ციცას ვერ გავათხოვდი, ორ ქცევა ხაშიეს მერეს ვერ ვიყიდდი, ოდას ვერ დევიდგამდი, მარა არც აგი მგონებია, აგი შეჩვენებულები, აგი ღვთის პირიდგან გადავარდნილები, აგი ამოსაძეუვეავი ასე თუ გუუნარწყავდენ ფას, ასე თუ ჩააქვესკნელებდენ მაზანდას, დედავ, დედავ, აგი რა გეიგონა ჩემმა ყურმა, ვაპრების ყური ვნახე დღეის სწორამდი მიწით გამოტენილი, აგი რა დეინახა ჩემმა თვალებმა, ვაპრების თვალი დეიფსო, ამას ოას მივესწარი, ვაპრებს არ მიესწრო ხვალინდელი ამომავალი ბზის დანახვა, რა მითხრეს აგი, იგინის საფლავი გეითხარა მორე პარკობამდი, პარკის მაზანდა ცამეტი მანეთიაო—პარკის ხელვანი სხმოი დიესხა იგინს იმ საწამლავ ენაზე და საშინლათ გააცხებია ეშმაკიზა მიყიდული აყროლებული სული—ცამეტ მანათს თუ სწუნობთო, დატიე და აწეულში გაგისწორეფო, რა ვქნა ახლა აფერი არ ვიცი, იგინის აწეულს რომ უცადო, იქნება ისე შეკრან პირი, ისე შიეკრა იგინს იგი ქვეყნის მჭამელი პირი, რომ საზიარებლათ ნაჯახით ვერ გუუხსნეს—ხო და იგინის აწეულს რომ უცადო, იქნება ვარესათ დუუწიონ და მაშინ მთლათ ყორნის დასაჭმელათ არ მეეიქეცი, მთლათ არ დეეიქეცი და ამოვდანდარდი არა 13 მანათად მივცე ჩემი ნაკვტავი, ჩემი ნაწყტავი, რაფერ ვქნა სისხლათ წიენკალა, ვინც ჩემი ნაცოდავი შეეჭამოს, მისი ბაღნები გუუწყტა, ვინც ჩემს ბაღნებს პირში ლუკმა გამუართვას და მისას ჩუუდვას, მისი ბაღნები ნახა შესუდრული, ვინცხამ ჩემი ბაღნების შეველი ხორცის დამალვა არ დამანება ჩემი ნაცოდვილევით, ჩემი ნახული კაცის ცოდვა მიეცა მას, მე ასე დამიწყეევლია, გაბგონე ღმერთია, თუ იცის იმ დალოცვილმა მტყუვან-მართლის ცნობა, ქე მივხთები ამით და თუ არა იმას მაინც შევიტყობ, აგი ხუცები რომ დრამის ფულს გვთხოვს, რა სასწაულს გამეიჩენს იგინის ღმერთი, ღმერთო ნუ მიკალონებ და იმდენ უსამართლობას ვხედავ, რომ მეც ქე შემიქიშმანდა გული.

პიტნა.

იძრიელ და მზეხა.

(სცენა ლანჩხუთ-ჩიბათისათვის).

მზეხა—გამარჯობისა ჩემო იძრიელ
ერთს დეეიმუხლებ დავდადდი ძრიელ.

იძრიელ—მობრძანდი მარა ფრთხილათ კი მზეხო
თხრილზე ფეხები არ წეიტეხო.

მზეხა—ეს რაა შვილო, რამ გადაგრია,
დუქნის წინ თხრილი რამ აგაურია.

იძრიელ—მისი ოჯახი ვნახე აურილი
ვინც ჯინზე მიეო მე აქ ეს თხრილი
ვარდამა გლახა კაცათ ვიცანით
რადგან ქე გავდა სიგრძე და განით,
მივანდეთ ბაზრის ნაზარატლობა
მან კი ითქვა: მაქვსო მეფობა,
ლანჩხუთის ბაზარს ჩამოუარა
სახათრო ქალებს შორს გაუარა,
რაც სადმე მწვირე, ლვარი ადგება
ამ ჩემს დუქანში ჭვათიერათ დგება.

მზეხა—რას იზამ შვილო, წახთა ქვეეანა
ვარეს-ვარესი არის ეველგანა.
ერთ კუნჭულიას აგერ ჩიბათში
ფული მქონდა ო უთქვამს ჯიბაში,
დამხვეთენო სერში აკაზაკები
დამიხურესო ტეეია ხანჯლები,
თურმე უქნია კვანტი ხლართული
მას ჭბარებია ამხანაგთ ფული,
თავზედ ხანჯალი თვითონ დაეკრავს
ქუდზედ ლეეერის ტეეიატ კი უკრავს,
სოფელი უნდა თლათ იენგრიენ
მარა კასტეხენ მისით ათქმიენ.

იძრიელ—კარგია დაო ნუ მოიმეკვტები
აბა სხვას კიდეე რას მოიეეები.

მზეხა—კიდეე ძეძეა, ვიდაც ფოთიდან
ჩამოეთრია აშარი ქალი,
ვერა ქვიაო თუ რა ჯანაბა
იმას დაუდგეს ორიეე თვალი.

ჭვრის ბანქოს სტოლზე და ხელებს ბარჭეავს
ჭკვა ოხელ ქალებს ენით თავს ბრსავს,
ზოგს ეუბნება: ხარ გაბზაკული
შეზობლისგან გულ გამოჭმული,
ზოგს ეუბნება: გეავს კეროები
და ზოგსა კიდევ ადრე მოკვტები,
და თქვენს მტერს, ნენავ, იმან წაგეკიდა
ერთი მეორეს თდათ კარდაგვიდა
მან დაატეავა მთელი სოფელი
აბაზებში აქვს ინჯეავმდი ხელი.

აბრაელ—აბა გეთაეეა რას მეუბნები
ნეთუ არაფერს ამბობს ხეტები.

მზეხა—აბა რას ჩივი, ბარნაბა ხეტესს
დმერთი გეუტკვლეტს გაბერილ მეტელს,
მას, ან მასბიძეს რათ მოიმდერებს
მიმავალ ქალებს კოჭში ეეურებს,
მარჩიელიც ხომ არის ოსტატი
იძახის მდგდლები ჯვარი და ხატი
რათ იქვნებიან შემშელი ხელის
ხეტები ბეურს ქელეს მოელის.

აბრაელ—სამწეხარო რომ ხალხი დელავ,
ველარ ისწავლის ჭკეას კი ვხედავ
ეს მასინძელსაც არ ეკადრება
მარა კეტს თერმე ადრ შერცხვება.

მზეხა—მოგვეჭრა თავი, ჩვენს სისულელეს
ვინმე გაზეთში გამოაჭრელებს
აბა მთავრობას რა ენადგება,
აბდლების ფულით ჭკვიანი ძღება...
შენთან მესაიეს რადა საჯობია
მარა მშვიდობით, დამდაშეია.

აბლიერ—მეც მოვცთი სქმეს მშვიდობით მზეხა
იმან კისერიც კი მოიტეხა.

ა—.

ჟეთათეური ლატარია.

მაისის მშვენიერი დღეა. ქეთაისის „გულვარდი“ სადღესასწაულოთ კოპწიათ არის მორთულ-მოკაზმული. მის შესასვლელ კარებს ამშვენებს ცოცხალი ეგვიდ-ფოთლებისგან ჩაწმახნულ-ჩაკრეხილი ხვეულები. შესასვლელს იცავენ სათავად-აზნაურო სკოლის მომწიფებულნი ულვაშ-ამწვანებულნი სარშიეოთ დასალოცნი ჭაბეანი. „გულვარდი“ ეს ქეთაისის ცენტრია, იქ ტრიალებს მისი მმოძრავებელი დერძი. რა საქმე გინდა, რომ აქ არ მოკვარაჭინდეს: აქ ირჩევა მომენტის კითხვები, აქ რიგდება საქანქრო გამოსარჩენი ადგილები, აქ იღგზნება სატრფიალოთ ატოკებული გული. გალაწეგეტილია, სანინის ავტორის არციბაშვილი ძეგი აქ დაიდგას. მუსიკა გრიალებს ახალგაზრდათა შერეული *) ჯგეფი „ჩადამკავალერებული ეოდრუჩკით“ რომ დაგოგმანობენ. შერეულ ენაზე შერეულათ ღეღენობენ....

კომბიმენტების (ქაინაურის—სახოკურათ) შადრევანი „შკვეირათ“ გალმოსჩქეფს, „კისკისე“ კომფეტებს ციქვივით აკანატუნებენ, კონფეტებს ერთმანეთს სანათლისდებო თოვლივით ათრქვეკენ, ალალობენ, კეკლუცობენ, ხუტრუტობენ, ერთი-მეორეს კორტნიან.

იქვე დასეირნობენ ქეთაისის ცნობილნი ბირნი, მარილნი იმერეთისა, მშვენებანი კოლხიდისა—ისტორიის კანალონში ჩასწერნი სახოგადო მოღვაწენი—ისინი ასალგაზდებსავით არ ცმუკვენ, დინჯათ დაბაჯბაჯებენ, თითეულ ხელის გაქნევას და ფეხის გადადგმას ზომავენ. ვინ გინდა, რომ აქ არ იყოს: ბოეტი რიეფაძე, მგოსანი მუშტაძე, ბუნდიციანტი ფეშუტაძე, ადვოკატი ხრიკაძე, ეკონომი ფულაძე, რეგოლიუციონერი წახლაძე, ბ. დაგოგი ცემაძე, მუნიციპალისტი კრეკაძე, ჩინოვნიკი ქრთამაძე, ბანკირი ტეკვაძე, ვაჭარი გახრაძე, ეურნალისტი ჭორაძე, კლერიკალი ტაბლაძე, ანანური ფინჩხაძე, თავადი კოტრაძე, კნეინა ბუდრაძე და სხვანი და სხვანი. ესენი დინჯათ დასეირნობენ, ერთი-ერთმანეთს ეუეუეუმადლესი ზრდილობით მოიკითხავენ, მაგრათ ხელს ართმევენ, თვალებში უსაზღვრო სიეკვარულით შესცქერიან, ერთი-ერთმანეთს ხოტბას ასხამენ. ერთმანეთთან ისე თავაზით არიან, თითქო ეერთიერთმანეთ-ოთ ცხოვრება არ შეეძლოთ, ბირს უკან კი ერთი-მეორეს სულთათანას უგალობენ.

„გულვარდის“ შეა ადგილას ხეების ჩრდილ ქვეშ ხელოვნური კარვია გამართული, აქვე მაგიდებია ჩამწკრივებული. აქვე დაფუსფუსობენ „გულვარდის“ რჩეულნი მარგალიტნი ბანოვანნი—აქვეა ბანოვანთა კარადა ვათ ადიარებული მადამ ჩაკანტუნაძისა, რომელსაც ქალები შურით შესცქერიან, კაცები „ვით ფარეანა“ თავს ეკლებიან. ჩაკანტუნაძეხა საქვეელმოქმედო ლატარია-ალეგრის ერთი გამგეთაგანია. კარავში სხვა და სხვა ზიზ-ბიბიდა ნივთები ადგია. აქვე ფიტრებისაგან ტრიბუნაა გამართული, არ იფიქროთ ტრიბუნაზე ორატორი იყოს... არა ბატონებო, ტრიბუნაზე ქალია და ცხვარია, ძროხა საკოდავთ ბდავა, ცხვარი—ბღეეედობს. ესენიც ლატარიაშია ჩაგდებული. არ ვიცი ამ ბატიოსან ცხოველების ბდავილ-ბღეეედში არშიეობა გამოიხატება, თუ ბროტესტი ის კი ცხადია, რომ დღეს ეს ცხოველები შეადგენს სამასლაათო ხაკანს. ეველა ფიქრობს, რომ მხოლოთ მას შეხვდება, დაკლავს და სხვა და სხვა ასოს შეკვე არიგებს თავი ნაცხობებში. ზოგიერთა ემაწვილებს წასაევანათ ბაწარიც მოემზადებიათ.

დაიწყო ლატარია. ბილეთებს იღებენ, გულის ფანცქალით ხსნიან, ერთი-ერთმანეთს ჩასცქერიან, ხმა მაღლა კითხულობენ, „კისკისობენ, იცინიან, არის ტურფა სანახავი“.

*) სიტყვა „შერეული“ ბევრნაირათ ითარგმნების.
ავ-ყია.

გეროლდი ხმა-მაღლა აღნიშნავს, ვინ რა მოიგო.

– ერთი ვიზიტი სახლში მიეყვანით ექიმი მოდნ-ქის დდიდგან ერთი თვის ვადაში.

— ხუთი ცალი კარანდაში გოკიელოვის მაღაზიაში.

— ერთი ბოთლი ყოლოს წყალი ლადიქესთან.

— ერთი „პროშენიის“ დაწერა ადვოკატ შოდლოგაძესთან.

— ერთი კარობკა შუდრი კოკოჩევთან.

— ორი სათის „კატაობა“ 125 ნომერ ფაიტონზე.

— ერთი კოცნა.....

ვაშა, ვაშა, ბრავო, ბრავო. აი ბედნიერი, вотъ счастливецъ.

— მომეიდე ა'ი მანეთად.

ეს ოცდა ხუთად ჩემი იყოს.

ორასათ, სამასათ, ამ რიგათ სულ უწევენ და უწევენ...

საერთო მხიარულებას მხოლოდ ტრიბუნაზე მდგომ ცხოველთა ბდავილი და სტოროჟი დავითას ნადვლიანი სახის გამომეტეველება არდვევს.

ავ-ყია.

უფასო ბილეთი.

(იხილე ალმანახი „მათრახ-სალამური“ № 2).

ყველანი დაჩუმდენ. ამ ლაპარაკმა ნორაზე ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, იორამის კმაყოფილი, მსუნაგი სახე, სულ ბრაზს გვრიდა მას. არა ნაკლებ ცუდი გავლენა იქონია ამ ლაპარაკმა ბესოზე. ის თვალს არ აშორებდა ნორას, უნდოდა ამოეკითხა მის სახეზე მისი სულის კვეთება. „ნუ თუ მართლა ასეთი აზრის არის და ჩემი განზრახვა ჩამეშლება? არა, ეს შეუძლებელია, ალბათ უნდა სხვაფერ აჩვენოს თავი იორამს, ჩემთან კი სხვაგვარათ მოიქცევა, საზოგადოთ ასეა მიღებული, ჩუმათ, კულისებს იქით ვინ იცის რაებს არ ჩადიხარ ადამიანი, უზნეობას, გარყვნილებას, ხოლო საზოგადოებაში კი ზნეობის და პატიოსნების დამცველი გამოდიხარ. არა, ნორა ჩემი უნდა იქნეს, დღეს მე უნდა დავსტკბე მისი ახლად გაფურჩქვნილი სხეულით, დავეწაფო მის კოკორ ვარდივით წითელ ტუჩებს. ეს ასე იქნება. საჭიროა მხოლოდ სიფრთხილე და ტაქტიკურათ მოქმედება, ყველა ეს თითქო ჩვენი სურვილების წინააღმდეგ მოხდა. დიახ, ეს საუცხოვო იქნება“—გაიფიქრა ბესომ და სიამოვნებით სახე გაუბრწყინდა.

— რამდენ ხანს დარჩებით, ქალბატონო, აგარაკში?—მიმართა იორამმა ნორას და ულვაშებზე ხელი გადისვა.

— ხვალვე უნდა დავბრუნდე.

— აგრე ჩქარა?

— დიახ.

— ეგ ვერაფერი სასიამოვნოა. მე მეგონა ერთ ორ კვირას მაინც დარჩებოდით, მეც ვაპირებდი ჩამოსვლას და კარგ დროებას გავატარებდით.

— გმადლობთ!

— შენც ხვალ დაბრუნდები ბესო?

— მეც ხვალ დავბრუნდები.

— არა, რა შვილი არ დაბრუნდები!—ეშმაკური ღიმილით უთხრა იორამმა და თვალით ნორაზე უჩვენა.

ნორას არ გამოეპარა ეს შეხედვა და ორივე ადამიანისადმი უზომო ზიზღი იგრძნო.

მატარებელი სადგურს დაუახლოვდა. იორამი წამოდგა

— დიდათ სამწუხაროა თქვენი მოშორება, მაგრამ სამსახური მავალებს ამ სადგურზე დავრჩე. მე ქალაქში ვსცხოვრობ მურასის ქუჩაზე № 24, გთხოვთ მობრძანდეთ, თქვენთვის კარები მუდამ ღია იქნება, უფასო ბილეთი როცა დაგჭირდეთ მუდამ მზათ ვარ თქვენი სამსახურისათვის—მიმართა მან ნორას, ხელი ჩამოართვა, ერთხელ კიდევ აათვალიერ-ჩაათვალიერა თავის მსუნაგ თვალებით და გავიდა ვაგონიდან.

— სწორეთ, რომ საზიზღარი ადამიანია!—დაიწყო ნორამ როცა მატარებელი სადგურს მოშორდა,—მისი შეხედულობა ნათლათ ამტკიცებს, რა შვილიც ბრძანდება.

— რატომ არის საზიზღარი? ყველა კაცს თავის შეხედულობა აქვს?—უპასუხა ბესომ და თვალებში მიაშტერდა.

— შეიძლება თქვენც მისი აზრის იყოთ?!

— არა, მე მისი აზრის არა ვარ, მარა ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება მას საზიზღარი კაცი ვუწოდოთ.

— ყველა მამაკაცები საზიზღრები ხართ, საზიზღრები!—გაჯავრებით წარმოსთქვა ნორამ, წამოდგა და სარკმელს დაეყრდნო.

ბესოს ხმა არ გაუცია. მთელი მისი გონება ერთ აზრს შეეპყრო. მატარებელი აგარაკს უახლოვდებოდა. ახლო იყო ის წუთი, როცა ის მიახწევდა თავის მიზანს. „გავჩერდებით სასტუმროში, ნორა, როგორც „ამაანგი“ უარს არ იტყვის ერთ ოთახში დაძინებაზე, მერე ყველაფერი თავის თავათ მოხდება“, გაიფიქრა მან. წარმოიდგინა, თითქო უკვე მივიდენ სასტუმროში, ნორა სიამოვნებით დასთანხმდა ერთ ოთახში მოთავსებულიყვენ, ბესოს სიხარულს საზღვარი არა აქვს. მან საჩქაროთ ვახშამი შეუკვეთა. ნორა მას ისე რიგათ ადარ ერიდება, ღილები გაიხსნა, ბროლივით თეთრი კისერი ამოიღერა და ისე მოუჯდა ვახშამს. ცოტა ხნის შემდეგ ცელქობა დაიწყეს, ბესომ ხელიდან ლუკმა წაგლიჯა, ნორამ სამაგიერო წაართვა. ამ ხუმრობაში ბესო მიუახლოვდა და ხელი ხელში მოკიდა, ნორამ კისერი მოიღერა და თვალები დახუჭა, ვარდივით წითელი ტუჩები თითქო განგებ იწვევდენ საკოცნელათ. ბესო გაშმაგებით დაეწაფა ცხელ ტუჩებს. ყველაფერი აირია. ორივეს გონება დაე-

ბნათ. როცა კოცნით გული იჯერეს, ხმა ამოუღებლივ ორთავემ ტანთ გაიხადეს, ჩაწვენ ლოგინში.....

— არა, ერთი ღვთის გულისათვის ამიხსენი, განა შესაწყნარებელია ასეთი შეხედულება ქონდეს კაცს ქალზე? — დაიწყო ისევ ნორამ — ნუ თუ თქვენ, მამაკაცებს გგონიათ, რომ ქალები უბრალო მჩვრები ვართ, მხოლოდ თქვენ დასატკბობათ გაჩენილნი. მანამდე შეგვინახოთ სანამ მოგწონთ ჩვენი სილამაზე, სანამ ჩვენი ლამაზი სხეულის დანახვა აღიზიანებს თქვენ მხეცურ ინსტიქტებს და როცა მოგბეზრდებათ ყველა ეს, გადაგვაგდოთ როგორც მჩვარი, როგორც უბრალო უვარგისი ნივთი?! ეგ ვერაფერი შვილი შეხედულობაა, ეგ ნამდვილი გარყვნილობაა და კიდეც იმიტომ ვუწოდე იმ შენ მეგობარს საზიზღარი ადამიანი.

— გეთანხმებით მაგრამ, ამავე დროს არ შემიძლია იორამსაც არ დავეთანხმო ერთ რამეში. ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს, ის ვერ უნდა შებორკოს ვერც პიროვნებამ და ვერც საზოგადოებამ. გიყვარს ვინმე? მოგეწონა? მოიქეცი ისე, როგორც შენმა გონებამ გაგიჭრას, აქ არავითარ დაბრკოლებას არ უნდა გადაეღობო.

— დღეს პეტრე შეგიყვარდა, ხვალ ივანე, ზეგ ბესო, მას ზეგ სხვა და ასე ამ გვარათ შენს სიცოცხლეში რამდენიმე ასი კაცი უნდა გამოიცვალო. ეგ არის თქვენი თავისუფლება, ეგ არის თქვენი სიყვარული?

— თქვენც კარგათ იცით, ჩემო ნორა, რომ ყველაფერს დასასრული აქვს, სიყვარულიც გარდამავალია, შეიძლება ისიც ჩაქრეს და ხელმეორეთ სხვა სახით გაცოცხლდეს. ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება საზოგადოებამ ლაგამი ამოსდოს ადამიანს. ეს პიროვნების ფეხქვეშ გათელვა იქნება.

— თუ კი ასეა, მაშ რაღა მაქნისია ცოლ-ქმრობა, ოჯახი? ნუ თუ არავითარი საზომი, არავითარი ნორმა არ უნდა ქონდეს ადამიანს და ისე იმოქმედოს, როგორც მისი გრძნობა უკარნახებს?

— საზომი თვითონ ჩვენ ვართ, რასაკვირველია ყველამ უნდა ვეცადოთ, წრეს არ გადავაცილოთ. ისეთი ცოლ-ქმრობა, ისეთი ოჯახი, სადაც სიყვარული და თანხმობა არ არის, უნდა დაირღვეს. ამაში თქვენც დამეთანხმებით. ასეთ შემთხვევებში საზოგადოების აზრი არ უნდა აფერხებდეს ადამიანს. ის თავისუფალი უნდა იყოს.

— თქვენ თავისუფლებას თუ გავყევით ქალები, რომელ კაცსაც მოვეწონებით ყველას ყელზე უნდა მოვეხვიოთ. სწორეთ კარგი აზრია. თქვენც თუ ამ აზრის იყავით ეს კი აღარ მეგონა. სამწუხაროა.

ნორა გაჩუმდა. მატარებელი უკვე მიუახლოვდა სადგურს. ბესო წამოდგა. გულმა რაღაც სხვაგვარათ დაუწყო ძიგძიგი.

— მივედით — წარმოსთქვა მან და ხმაში კანკალი დაეტყო. ნორამ შლიაპა დაიხურა და ორნივე გავიდენ სადგურის ბაქანზე.

ირეთელი.

(დასასრული იქნება)

ოზურგეთის საშუალო სკოლის გამო.

გურულების მტკიცე გადაწყვეტილება საშუალო სასწავლებლის დაარსების შესახებ, რასაკვირველია ყველა ხალხისთვის გულშემატკივარს იმედს გაუღვიძებს, სიამოვნებას აგრძნობინებს. ვგონებთ საქართველოს არც ერთ კუთხეზე არ გადაუვლია ისეთ სასტიკ ქარიშხალს რეპრესია-განადგურებისას, როგორიც წილათ ხვდა მრავალ-ტანჯულ გურიას და სწორეთ ამიტომ არის უმეტეს საგულისხმიერო ის თავგამოდებითი ცდა, რომლითაც გურულები გამოვიდენ კულტურულ მოღვაწეობის ასპარეზზე.

როგორც გადმოგვცეს ოზურგეთის ქალაქის თავს შემდეგი შინაარსის წერილი მიუღია ჩხიკვიშვილისაგან ამ საქმის შესახებ.

დიდათ პატივ-ცემულო ბებურ! ბევრი ამბავი მიმდის სამშობლოსაგან სულის და გულის აღმაშფოთებელი, რომელიც ძრიელ მაღონებს, ამ მრავალ უსიამოვნო ამბებთა შორის გავიგე ერთი დიდათ სასიამოვნო ამბავი; თქვენის მეთაურობით ოზურგეთში იხსნება რეალური გიმნაზია. ღმერთო ჩემო! რა მშვენიერებაა, რა ბედნიერებაა, ჩვენი საყვარელი სამშობლოს კუთხე გურიისათვის. გავიგე, როგორ გიშლიდა ხელს ოპოზიცია. ისიც გავიგე, თუ როგორ ჩაიშალა თქვენი გეგმა საზოგადო აფთექის გახსნის შესახებ, შავრაზმელთა მეცადინეობით, მაგრამ ამით სასოწარკვეთა არ ღირს. გურიას ღიდი ხანია სწყუროდა კულტურული დაწესებულება მეტადრე საშუალო სასწავლებელი. და ამ მხრივ გადადგმული საწაღმართო ნაბიჯი იმედია სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება. ყვავ-ყორანთა ჩხავილი ასეთი საკეთილო საქმის წინააღმდეგ სრულიად უძლურია. დარწმუნდით რომ მათი ქაქანი ეს უკანასკნელი ფარახალია სინათლისა და კულტურის წინააღმდეგ. დიდათ სასიამოვნოა რომ მთავრობა თანაგრძნობით ეკიდება თქვენს დაწყებულ საქმეებს. მიიღე ჩემი გულითადი სალამი და წრფელი თანაგრძნობა თქვენს ძნელ და სასარგებლო საქმეში. გადაეცი ასეთივე სალამი ყველა თქვენს დამხმარე თანაშემწეებს. . . . . .

. . . . . დავშთები გულითადი თქვენი პატივის მცემელი ჩხიკვიშვილი:

ადესა.

ტკბილ-ყია.

მედროვე

(იხილე ალმანახი „მათრახ-სალამური“ № 2).

მოქმედება მეოთხე.

სცენა მათიეს სახლში. ახალ გათენებულია. მაკრინე, მათიეს ცოლი, სახლს ალაგებს. შემოდის ეფრემა.

ეფრემა—გამარჯობა თქვენი. სა წევიდა მათიე ამ ძაღლის იალონზე?

მაკრინე—გაბილამ მეირბინა და იმან წეიყვანა. რაცხა ამბავი კი მომხდარა წუხელი. გონია სტრაჟები მოსულა წუხელი და ბიჭის დაჭირვა სდომებიან მარა ვერ უნახავენ. დაჯე ბაბა. (სკამს უდგამს) ახლავე გოუშობ კოლიას და მოვაყვანიებ. (კოლიას) გეიქეცი ნენა და მამაშენს უთხარი: ბაბუაი მევიდა და მოდითქვა. გაბილაისასაა. ძაღლმა არ გიკბინოს ნენა. ლობეზე შედექი და ისე დუუძახე. (კოლიე მირბის მამასთან) რავა არიან შინ ბაბა? ერმალაიზა რაცხას ამბობენ, რაფერაა საქმე? ხომ არ გადაგიწყვეტიან ჯერ რამე?

ეფრემა—რაფერ გაკათავებდი რავა, ყაზახმა მიისო ჯორივით ფეხი ხუთას მანათზე და იმას იქით არ წეიცვალა და ყაზახის ქალს მევიყვანო და იგიც ხუთას მანათათ!? ბიჭს ქე უნდა ძალიანი ციცაი, მარა დედაშენმა გადიჯინა, თუ ყაზახის ქალს მევიყვან ბარემ ფული უნდა მოყვესო და ქეა ახლა ასე. გუშინ იყო გოგოის მამა, მარა ვერაფერი ვერ უთხარი გადაწყვეტილი.

მაკრინ.—ბიჭს თუ კი უნდა და ხუთას მანათს კი იძლევა ხელზე ნუ შეეშლებით. გოგო ძალიან მეოჯახეა თურმე რავარც მითხრეს. ერთ ქალათ თმაი ღირს მისი. იმისთანა ქარგვა იცის თურმე, რომ კაცის თვალი უკეთესს ვერ ნახავს. სხვაფერ თუ კი მოგწონთ, ყაზახობიზა ნუ წუნობთ. ახლა ყაზახებს ჩვენზე ნაკლებათ კი არ მოაქვთ თავი. სხვაი დროია ახლა.

ეფრ.—მას რომ მუაქ თავი მე რაი მერე. აი ახლაა ასე თვარა მისდღემჩი კი არ იქნება. თავადი და აზნაური მისდღემჩი არ დაკარგავს თავის სხივს და ხარისხს, რაც უნდა წახდეს დროი. რავა ყოველთვის მაგენის ხელში ხომ არ იქნება საქმე. ღმერთმა დეიფაროს. ვახუშტაის ბიჭს რომ ქვეყნის გადაბრუნება შეეძლოს, მაშინ კაი დაგემართოს, მარა აღარაა ისე საქმე. ხვალ და ზეგ მასაც გაკროპავენ და იგი ვირები რომ იყვენ მას თვალ დაქუქული ქე დარჩებიან ისე პირ დაფჩენილი. ისე მოუქერენ მარწუხს, რომ დედას უტირებენ სულ. მაშინ ნახონ თუ აფერია თავადი და აზნაური. (შემოდის მათიე).

მათიე—შენ გუშინ გელოდი. რამ წიგიყვანა ქვეით. შევშინდი კაცი, ვიფიქრე იქნება გაზდია იმ შეეშვენებულებმა და არ ჩიერჩოს აი ბერიკაცი სადმე მეთქი.

ეფრ.—კი არ მინდოდა ქვეით წასვლა, მარა გოგიეს ცოლი შემხვდა და არ გამართვა საშველი, რაცხა მომეხმარე, გოგიე დეიჭირეს, ნაჩანიკთან აგჯანიან და რამენაირათ დამახსნიე. იქ შინ მოსულიყო, კიდევ ქალს შეხვეწოდა, აქეთ ბიჭიზაც შუუჩენია ვინცხა-ვიცხაები და იმიზა ჩამათრიეს შინ.

მათიე—რა ქენი მერე? შეპირდი?

ეფრ.—რაფერ შევპირდებოდი. ვეცდები მეთქინ და თუ რამე გავა ხომ კაი და თვარა რაღაი მეთქინ. ამისანა საქმეზე მისვლა სათხუარათ საშიში არის მეთქი, მარა რომ არ მოგცემს საშველს. დეიწყო ტირილი, ფლაკვინი აქეთ ქალს დოუჩოქა და კოცნა დოუწყო და რაღას ვიზამდი. უთხარი, რომ უფულოთ არაფერი გაკეთდება და ერთ ას მანათს თუ იშოვი იქნება მივბედო მეთქინ. წავალ, დავფაცურდები და დღეს აქ მუა და ვნახოთ. თუ მეიტანა ფული ქე წავალ და ის იქნება და თუ არა ჯანაბას იქით იგი და მისი გოგიეც. (ისმის ძაღლის ყეფა. მაკრინე გარეთ გადის).

მაკრ.—მობრძანდით ბატონო—აქეთ ძაღლო. შენ დაგეპამა ცოფმა. (მიდენის ძაღლს) შემობრძანდით ბატონო.

ბეს.—მათიე შინ ბრძანდება ბატონო?

მაკრ.—შინ გახლავს ბატონო. შემობრძანდით ბატონო სახლში. (მათიას) გამოი ოჯო გარეთ, სტუმარია.

მათიე—(კარებზე მოდგება გამოსასვლელათ. მაკრინე და სტუმარი სახლში შედიან) ოო!

მათ—ოო! მობრძანდი ბესარიონ! მადლობა ღმერთს რომ მოგიცდა ფეხი. რაცხა კაი ამბავია, თვარა შენ მისდღემჩი არ მინახავხარ ჩემსას. დაბრძანდით. (სკამს უდგამს).

ბესარ.—ნუ სწუხდებით. ეფრემი აქ ყოფილა. ეს ძალიან გამეხარდა. იქინე უნდა ჩამოვსულიყავი შენთან და ეხლა გადავრჩი სიარულს.

ეფრ.—ხომ კარგათ ბრძანდები ბესარიონ!

ბესარიონ—კარგათ ყოფნა საღადაა ჩემო ეფრემ პირი აღარაა და ღჯილი. ყოლი კაცი ბატონია. თუ ვინმეზა რამე გიწყეინებია, ყველამ ახლა იშონა დროი. ყველას რაფერ ასიამოვნებ და აბა და იმისანას გიზამს, რომ რაცხას საშინელს.

ეფრ.—მაგას არ ვჩივი მეც. აბა პირი თუ იგის ღჯილი რაღა მინდა მეტი. წყეინებას ვინ ჩივა არ მოკლავდენ თვარა. მე დამიჯერე ყველამო და რაფერ შეიძლება თუ ღმერთი გწამს, რომ ვახუშტაის ბიჭს დუუჯეროთ ყველამ. ბიჭო, ან მოხუცებლობით უნდა დამიჯერო, ან აზნაურობით, ან გამოცდილობით. აგენი არც ერთი არ ეყურება მაგენს. ახალი თაობაო, პროლეტარიო. რავა ახალი თაობა ყოლთვის ძველ კაცებს უჯეროდა და ქვეყნის საქმეც ქე მიდიოდა კარქათ. ახლა აგენმა

შეაბრუნა სამართალი და მე დამიჯერო; და აგია ქე იღუპება ქვეყანა. გაპროლეტარდი ყოლი კაცნაო. არ მინდა ძმაო აი შენი პროლეტარი და არ ჩამაკვდი. რავა, გაპროლეტარებას ყოველთვის მივესწრობი. რომ აფერი მექნება ვერ დეინახავს. ამდენხანს ვისაც რამე ქონდა კაცს იმას უძახდენ და ახლა ისე გადაბრუნდა ყოლიფერი, რომ თვაფერი გაქ კაცი მაშინ ხარ. ესტატეს ბიჭი ეგერ ყველაზე უკეთესი პროლეტარია მარა რაი მერე. მამა მისი შიმშილით კვდება. სახლი დიეხურა უკეთესი იყო მამაის ცხონება, ვინემ ვინცხა პროლეტარიას და მის ძახილს. იბრძოლეო. პროლეტარი იბრძვის. სისხლს აქცევსო. სულიც ამოხთენია. ვინ ეხვეწება. იმას რა ენაღვლება ჩემო ძმავო. სახლი არ აწუხებს კარი, ცოლი და შვილი. მე ჩემოულობა ოჯახს შევაღიე. მოდი მიატიე ახლა. ვიბრძოლე მე ჩემო ძმაო. ათი წელიწადი მილიციაში ვიყავი. ბრძოლა არ იყო იგი? არა, კაიც რომ იბრძოლო რაით უნდა იბრძოლო. ნიგუზალით?! რავა, ნიგუზალით მიერევი რუს?! მოდი და მაგენს აყევი ახლა. აყობი და ბოიკოტი. რას მერჩოდენ მე. შენი ნახული კაცის ცოდვა მომცეს ღმერთმა, თუ რამე მეწყეინებიოს მაგენიზა, იმის მეტი რომ ერთხელ ბოქაულთან მივედი და იი ბაღნები დავაპირვიე. აბა რა მექნა. მომცვინდენ და ყანა ორი მეხუთედათ უნდა მოგვცეო. გეყოფა რაც ტყავი გვაძრეო. აწი რავა, რა ტყავი ვაძრე ამ მამაძაღლებს. იგენს ყანა უნდა და მე ვაძლევდი. მიწა ჩვენიაო. მიწა კი დავაყარე იმას ვინც მაგენს იგი ჩააგონა. მიწა რავა, ორმოცი ოდილისტა და კუპჩა მაქ და საიდგან უნდა იყოს მაგენის. პეპერა ჩემიდგან დაწყებული გურიელის სამსახურში ჩავბერდი და ნამსახურში იგი მიწები მომცეს და ეხლა მოდი მიეცი მაგენს. კაი შენ მომკიდე. ეფრემამ გურიელს ემსახუროს და გოგიამ მიწები წეიღოს. ვერ მივართვი. აბა ახლა შინჯონ თუ ბიჭია. რავაი ახალი თაობაა ნახავს. რავა, სამართალი კი არ მომსპარა ქვეყანაზე. მაგენს ვინ ააგდებიებს ასე თავს. გამარჯობას ვერ გეტყვის ყაზახი და ახალი თაობაო. ბარე ორს გუკროჭეს ფხარი და ბევრი მოელოდეს კიდევ.

ბესარიონ—ასეა ჩემო ეფრემ. აბა სამართალი და პირიანობა რომ იყოს, ჩემთან ვის რა უნდოდა. ეე ვიყავი ჩემთვის. არავის არაფერს არ უშავებდი. თუ მოხმარება არ შემეძლო, არც ხელს უშლიდი ვინმეს. მარა რა გაგივა. ყველამ ახლა იშონა დროი. თუ ერცახე სული გიდგია, რატომ უდგია სულიო და საშველს არ მოგცემენ.

ეფრემა—რავა, შენ გერჩიან რამეს თუ? შენზე აფერი გამიგონია. შენთან ყველაი კარქათ იყო.

ბესარ.—კი, კაცმა თქვას ჩემდა არაფერი უწყეინებიან და არც წუუხთენიან მარა, ახლა ვინცხამ ბოქაულს დამასმინა. დღეს დამიბარა და ისეთი რამე მითხრა, რომ გრძნობიდგან გამოველ კაცი.

მათე—რა იყო ასეთი ბესარიონ?

ბეს.—რა იყო და შენ კომიტეტის კაცი ხარო და უნდა დაგიჭიროო. შენ იარაღები გაქ შენახულიო და რა ვიცი. რომ დამკრა რაცხამ თავში დედამიწაში გამარონია. მოგონება შეიძლება მარა ამფერი. იმის მეტი მის ოჯახს არ მისცემს ღმერთი არაფერ სიკეთეს, რაის მეტი მე თოფთან სიახლოვეს არ გამეროს თავის დღეში. ის კი არა სხვას რომ დავუნახავდი მეშინოდა. იმ ჭიშკართან რომ ამოღებული ხანჯალი დავინახო, მე აქანე მუცელი მეტკინება. აგი გინდა დეიჯერე და გინდა ნუ. და ამფერი კაცი იარაღს ინახავდიო. ეხლა გამომიშვა დროებით, მარა ხვალ კიდევ მივა ვინცხა და ვარესს ეტყვის. ამიტომ ეხლა შენ უნდა შეგაწუხო ჩემო ეფრემ. მე დღეს იმიტომ მოველ, რომ მათე მინდოდა შენთან გამომეგზავნა. შენ თუ გნახავდი აქ რავა მეგონა და რაღამც გნახე თლა გაკეთებაა. მიმეგზავნე ერთი და მიიხოვე, რომ ყველაფერს ნუ დეიჯერებს აი კაცი. რა გოუკეთდება მას ეხლა მე რომ გამაწვალონ და გამაჯაღადირონ ტყვილათ. მე ქე დევიღუპები მტერების ჯინზე და მას აფერი. ჩემისანაი კომიტეტი ნეტაი სხვაი იყოს და მაშინ არც ამფერი ამბავი იქნება.

ეფრემა—მე თუ კი რამე შემიძლია რავა დაგამადლი. შენ კი არა ბაღანაი რომ გამოეგზავნა მაშვინაც არ დაგამადლიდი. მარა მე ჩემო ბესარიონ ვინ რას დამიჯერებს. შენი ნახული კაცის ცოდვა მომცეს ღმერთმა, თუ ჯერ მენახოს ბოქაული და ახლა, აი უცხო კაცი რომ მივიღე, აბა რა უნდა გავაკეთო, თვარა შენი გულიზა თუ გინდა ორმოც ვერს გზას გადვიარ ფეხით.

ბესარიონ—შენ თუ პატივს მცემ ყოლიფერი გაკეთდება. რაცხა პაწას ქე წაგატან და შენს ნაშრომს ერთი ორათ გადაგიხდი.

მათე—პაწაის წაღებას სულ წუღებლობა სჯობია.

ბესარ.—აბა პაწაი რა, ახლა ორი და სამი მანეთი ხომ არ შეიძლება. რაცხა ერთი ასი-ორასი რომ იქნება, მგონი არც ისე პაწაია.

ეფრემა—რატომ. საკმარისია. თუ გასაკეთებელია ქე უნდა გაკეთდეს და თვარა და ადარ ეშველება აფერი და ისაა. ძაან კარგი. შენ რავა დაგამადლი ამისთანა რამეს. მე თუ კი რამე შემიძლია რა, შენ თუ პატივს არ გცემ, აბა ვიღას უნდა ვცე.

ბესარ.—აბა ჩემო ეფრემ, ბიჭის ხელით გამოვგზავნი ორას მანეთს და შენ იცი და შენმა პატიოსნებამ. დააჯერე იი კაცი, რომ კომიტეტები კი არა ლუკმას ძლივაი ვიდებ პირში. შენი გარჯა ჩემ თავს იყოს. მგონი კი შევძლებ გადახდას. აბა ასე ჩემო ეფრემ. მე ქე წავალ ეხლა. დუქანში არა კაცი არ დამიტოვებია (დგება).

მათე—მოგეცადა ბესარიონ. ერთი რუმკა „ვოტკა“ დაგელია. შენ მისდღემჩი არ ყოფილხარ ჩემსა და რავა გაგიშვა ასე.

ბესარ.—რატომ იტყვი ჩემო მათე. შენ ამ საქმეში დამეხმარე და ჩემი პატივისცემა ის იქნება (უშვიდობება).

მაკრ.—დედა, ღმერთო მომკალი და ქია. ბატონო, მოგეცადა ერცახე. რაცხა ზაკუსკას მოვახაზირებდი. ჩემი სიკვდილი და ქია ახლა. ამისანა უცხო სტუმარი ასე უპატივცემულოთ რაფერ უნდა გუუშვათ.

ბესარ.—არა დაია, რატომ იკადრებ. ერთი აი საქმე გაკეთდეს და პატივის ცემა მერე მე მკითხე (მიდის).

ეფრ.—(მიაძახებს) ბესარიონ, ერთ წუთში თუ არ გეზარება. რა მინდოდა მეთქვა. რაცხა ბიჭმა საახალუხე დამაბარა და რა უყო არ ვიცი. შენი ცოდვა მომცეს ღმერთმა თუ ეს ორი წელიწადია კაპეიკი ეშონოს ჩემ ხელს. ქე მიგდია შინ, აი ალმასივით კაცი შიშველი. გარეთ ვერ გამოსულა სირცხვილით. ახლა ღვთის და შენი შეწევნით, რაცხა ორ კაპეიკს ქე ვშოულობ, მარა ხომ იცი ოჯახის ამბავი. იქნება გამოატანო ბიჭს ერთი საახალუხე და ორ დღეში ფული მექნება ქე მოგიტან. კი მენდობი მგონი. შენი თუმნობით მქონია მარა კი გადამიხდია.

ბესარ.—ძაან კარგი. გამოგზავნე და გამოარჩიოს. ფული არაფერია კაცო. მაგისანაობაზე თუ არ გუუწყვეთ ხელი ერთმანეთს აბა რალაი. კარგი ძალიან. მოვიდეს როცა უნდა წამეიღოს. (მიდის. წაიღაბარაკებს) ღმერთი შენ გიშველის შენგან რამე აიღებოდეს. ერთხელ ვენდევი და სუდგენი პრისთავით ძლივს ავიღე.

ეფრემა—(შემოვა სახლში) ასეა. ჩამივარდა ხომ ხელში. ორი თუმანი მემართა მაგის და სანამ არ გადამიხთია არ მომისვენია. მარა ეხლა მგონი ორმოცსაც კი მომცემს. ეტყობა ბოქაულს ყველაფერი დაუჯერებია რაც უთხარი.

მაოე—შენ ჭკვიანათ იყავი. არ აჩქარდე. თუ კარგათ წავიყვანთ საქმეს ერცახეს სულს მოვით ქვამთ. ღმერთმა აკურთხა მისი ოჯახი, ვინც მაგი გამოგზავნა აქ. (ისმის ძადის ყეფა).

ბაცილა.

(შემდეგი იქნება)

ჯაჭვი ქალაქის თვით მმართველობაში.

(ოზურგეთისთვის).

გაზეთებმა გვამცნეს ოზურგეთიდან ამ დღეებში სადაო კითხვა. ქალაქის მამებს „უპრავის“ სხდომა ჰქონიათ. თავმჯდომარეობს თავის თანაშემწე პლატონ ბერიძე—ჯაჭვი თავს წაუღია. დაისვა კითხვა: შეუძლია თუ არა პლატონს უჯაჭვოთ გასწიოს თავმცდომარეობა—სასამართლოს მოხელე ბ. თოთიბაძე ამტკიცებს რომ შეუძლია. პლატონის უფრო კარგი ნაცნობი (და ჯაჭვ-ბორკილის მოტრფიალე) დეკანოზი დავითი ამტკიცებს რომ უჯაჭვოთ ძნელი სანდოა, რადგან შეიძლება ზევიდან უკანონოთ ჩასთვალონ. კრებამ დიდი კამათის შემდეგ უჯაჭვო თავმჯდომარეს მაინც ნდობა გამოუცხადა რის შედეგს კრებაში მალე „ასვარიე დასვარიეჯ“ მოხთა. მივმართავთ ჩვენს იურისტებს მეტადრე საქალაქო დებულებათა მცოდნეებს, განმარტონ ეს კითხვა—შეიძლება უჯაჭვო თავმჯდომარე თუ არა?

ხაპი!?

იუმორისტულ-პოპულიარული, ეროვნულ-კეთილშობილური, სურათებიანი ჟურნალი

„მათრახი და სალამური“

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით — 2 მან. 50 კ., ერთი თვით—50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირებულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, გაეგზავნება აგრეთვე უკვე გამოსული „სალამურის“ ალმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე—10 კ.

დროებითი რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва «Шрома» Теофилу Болквадзе.

„ფაუსტი“

გიოტესი

თარგმანი პ. **მირიანიშვილისა**

ფასი 1 მან. 25 კ.

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს წიგნი დაეთმობა თითო მანეთად. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც ხოლო გასაგზავნი დაემატება თითო წიგნზე ორი შაური.

ვისაც სურს ეს წიგნი შეიძინოს მიჰმართოს „შრომის“ სტამბაში ვასო ბოლქვაძეს.

იყიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1907 წლისა 13 ნომერი ერთად შეკერილი. . . . 1 მ. 30 კ.

2) „ეშმაკის მათრახი“ და „მათრახი“ 1908 წლისა, 35 ნომერი ერთად შეკერილი . . . . . 2 — 50

3) „ალმანახები“: აკაკი, ეშმაკი, ჯოჯოხეთი, ეშმ. მათრ., და ტარტაროზი, —სულ 10 ნომერი ერთად შეკრული . — 50

4) „ქრისტინე“, ოთხ მოქმედებიანი დრამა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან პ. ირეთელისა . . . . . — 20

ვინც პროვინციებიდან გამოიწერს და ღირებულ ფასს გამოგზავნის, ფოსტის გასაგზავნი ფული არ გადახდება.

მსურველმა უნდა მიმართოს „შრომის“ სტამბაში, თეოფილე ბოლქვაძეს. ფულის მაგივრად ფოსტის მარკების გამოგზავნაც შეიძლება.



კვინწარ კვინწარის ძე კვინწარაძეს.

ქ. ბათუმი, ზღვისპირის ქუჩა, № 384.

შენს საყვედურებს თავი ვერ გავართვი ძვირფასო კვინწარ! არ ვიცი შენ რა აზრისა ხარ ჩემო კვინწარო, მაგრამ უმეტესობა იმ აზრისაა, თითქო სახუმარო, ანუ როგორც იტყვიან იუმორისტული გაზეთის გამოცემა „პუსტიაკი“ საქმე იყოს.

ეს კი დიდი, ძლიერ დიდი შეცდომაა. ეს ისეთი შეცდომაა, როგორც მაგალითად გაზ. „ივერიის“ იეზუიტებთან სამართლიანობაზე კამათი.

საქმე იმაშია, ძმაო ჩემო, რომ ჩვენი მწერლები ფრიად და ფრიად სერიოზული ხალხნი არიან. იმათ ისე არ ეხერხებათ საჩვენგაზეთო მწერლობა, როგორც ტიტე ართმელაძეს საღი მსჯელობა და მოკლე სიტყვაობა, როგორც გიორგი გვაზავას ოცნებას „ქოშების“ გარეშე აღმაფრენა, ივანე როსტომაშვილს უკასოთ არსებობა... ეს რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, თითქო სურვილიც არ ჰქონდეთ სახუმარო მიდრეკილებისა. პირიქით... სურვილი იმზომ დიდია, როგორც უმეცრება იმავ ტიტე ართმელაძისა, როგორც ენა მლიქვნელობა კ. თუმანიშვილისა და ქარაფშუტობა გვაზავას პოეზიისა. დიახ, სურვილები ერთობ დიდია, მაგრამ მარტო სურვილი რო კმაროდეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა...

ახლა კი, ძვირფასო ჩემო კვინწარო, ძაღლებმა ლამის აგვიკლონ ყეფითა და არა თუ მარტო შორიდან ყეფას სჯერდებიან, ზოგიერთები კიდევაც იკბინებიან, თუმცა ბებრებს კბილები აღარ უჭრისთ. სასაცილოა, როცა უკბილო ძაღლი ძვალს ებღაუჭება; დილიდან საღამომდე პირში აგორებს, დორბლით ასველებს და გატეხას კი ვერ ახერხებს! როცა ასეთ სურათსა ვხედავ, მაშინვე გაზ. „ივერიის“ პოლემიკა გამახსენდება ხოლმე. საწყალს რა დიდი სურვილი აქვს „ზომიერობისა“, მაგრამ თავისი ყბების „ძლიერება“ ლამის უზომობას შეალიოს.

ასეა თუ ისე ჩვენ ისევ გავაცოცხლეთ ჩვენი გაზეთი და საჭიროა შენც, სხვა ეშმაკებთან ერთად გაშალო შენი კარაბადინი და მოგვახსენო ხოლმე „ამა ქვეყნის ამაოება“. გთხოვ გასცე განკარგულება შენს სამრეველოში, რომ ყოველი ეშმაკი თავის ალაგას იდგეს... იდგეს ფხიზლათ და ყურ მახვილათ, რომ ადგილობრივ ცხოვრების არც ერთი მაჯის დაკვრა არ გამოეპაროს. ჩვენთვის საჭიროა ყოველგვარი მასალა: ახალ-საამბო; სადეპეშო; შეკითხვა; ანდაზა; გამოცანა; კითხვა-პასუხი და სხვა მრავალი რამ. ეცადეთ შეაგნებინოთ თქვენს თანამშრომლებს, რომ:

„გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის შაირია ამით კარგი“.

შენმა წერილმა შესახებ ბლიკვაძის გუდის დაძველებისა ერთობ დაგვაღონა. ახლა ძლიერ საჭიროა მისი სტვირის გაგონება. ჩვენ აღარ ვიცოდით რა გვექნა, მაგრამ კურთხეულმა ჩვენმა „ისტორიკოსმა“ დიდი იმედები გაგვიღვიძა. მართლაც ბევრი ვეძიეთ და ვერსად ვერ ვიშოვეთ საჭირო თხის ტყავი. ბოლოს „ისტორიკოსს“ მივმართეთ. იმან ჩაიცინა და გვითხრა: ნუ თუ ესეც ძნელი საქმეა. დამაცადეთ პატარა; ახლო მომავალში ტიტე ართმელაძეს უნდა გავაძრო ტყავი „ივერიაში“ ოხუნჯობისათვის და თუ იკადრებს ბლიკვაძეს ის გაუგზავნოთ გუდათაო“.

მე ძლიერ მომეწონა ეს აზრი, მაგრამ არ ვიცი, ბლიკვაძე რას იტყვის, მართლა იკადრებს ამ საგუდე ტყავს თუ არა.

მშვიდობით. ველი შენს პასუხს.

შენი **ეშმაკი.**

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუსის ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი **ე. ტუარტბელიძე**